European Union

gef

The GEF Small Grants Programme

UNDP
Empowered lives.
Resilient nations.

სატყეო მიწების მმართველობის გაუმჯობესება
საქართველოს მდგრადი განვითარების ხელშეწყობისათვის

ტყისა და სატყეო მიწების კანონმდებლობის და მმართველობის ზოგადი მიმოხილვა

27-28. 11.2015.

GREEN Alternative

www.greenalt.org

სატყეო მიწების კანონმდებლობისა და ინსტიტუციების მიმოხილვა

ტყის მართვისა და საკუთრების საკითხები

- საქართველოს კანონი „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ 1996
- საქართველოს ტყის კოდექსი 1999
- საქართველოს კანონი „ტყის ფონდის მართვის შესახებ“ 2010
- საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 2014
- საქართველოს მთავრობის დადგენილებები:
- N 240 (13.08) სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრის დადგენის წესი
- N 132 (11.08. 2005); „ტყით სარგებლობის ლიცენზიების გაცემის წესი“
- N 242 (20.08.2010) „ტყითსარგებლობის წესი“
- 179 (17.07.2013.) „ტყის აღრიცხვის, დაგეგმვისა და მონიტორინგის წესი“
- გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის ბრძანება №161(29.12. 2014) „მწვანე ზონის და საკურორტო ზონის ტერიტორიების ნუსხისა და მასზე მიკუთვნებული კვარტლების ჩამონათვალის დამტკიცების შესახებ“

რა არის ტყე?

საქართველოს ტყის კოდექსის განმარტება

- ტყე არის „გეოგრაფიული ლანდშაფტის ნაწილი, რომელიც მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით ტყისთვის მიკუთვნებული ხეების, მათი გავრცელების არეალში მოქცეული მიწის, აგრეთვე ბუჩქების, ბალახების, ცხოველებისა და სხვათა ერთობლიობას, რომლებიც თავიანთი განვითარების პროცესში ურთიერთდაკავშირებულნი არიან ბიოლოგიურად და გავლენას ახდენენ ერთმანეთსა და გარემოზე“. მოქმედი რედაქცია, 2015 წლის 1 ივნისის მდგომარეობით

საერთაშორისო განსაზღვრება (FAO)

- ტყე არის 0,5 ჰა-ზე მეტი მიწის ფართობი, რომლის 10%-ზე მეტი დაფარულია ხეებით, ხოლო პირველადი დანიშნულება არ არის დაკავშირებული სოფლის მეურნეობასთან ან სხვა არასატყეო საქმიანობასთან. ხეების სიმაღლე აღემატება 5 მეტრს.

ტყის განსაზღვრება

პარამეტრები

- •განახლება, ახალი აღმონაცენის არსებობა
- •დროებით ტყით დაუფარავი ფართობების არსებობა
- •არასატყეო მიზნით გამოყენება
- •აგრომეტყევეობა
- • მინიმალური ფართობი (ჰა)
- • მინიმალური სიმაღლე (მ)
- •ვარჯის შეკრულობა (%)
- •ასაკი (წლები)
- • ზოლების სიგანე (მ)



საქართველოს ტყის კოდექსი

„საქართველოს ტყის ფონდი წარმოადგენს სახელმწიფო ტყის ფონდისა და საქართველოში საკუთრების სხვა ფორმებით არსებული ტყეების და მათი რესურსების ერთობლიობას (მუხლი 5, „გ“).

ტყის კოდექსის ცნებები:

- სახელმწიფო ტყე (მოხსენიებულია ერთხელ)
- საქართველოს ტყის ფონდი (მოხსენიებულია 19-ჯერ)
- სახელმწიფო ტყის ფონდი (მოხსენიებულია 113-ჯერ)
- სახელმწიფო სამეურნეო ტყის ფონდი (მოხსენიებულია 5-ჯერ)
- ადგილობრივი ტყის ფონდი (მოხსენიებულია 3-ჯერ)

❖ „სახელმწიფო ტყის ფონდის დაცულ ტერიტორიები“
❖ „სახელმწიფო სამეურნეო ტყის ფონდი“

რეკომენდაცია: “ტერმინი ტყე და სატყეო მიწები “

„ადგილობრივი ტყის ფონდი“

- ტყის კოდექსი: „სახელმწიფო სამეურნეო ტყის ფონდის ნაწილი, რომელთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებს არეგულირებენ ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოები“
- „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ - „მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილებებს განეკუთვნება ადგილობრივი მნიშვნელობის ბუნებრივი რესურსების, <u>მათ შორის, ტყის რესურსების</u> მართვა“.

- **დასკვნა - ტყის კოდექსი ეწინააღმდეგება ორგანულ კანონს!**

საქართველოს ტყეებზე საკუთრების უფლება

საკუთრების დაშვებული ფორმები ტყის კოდექსის მიხედვით:

- სახელმწიფო
- საქართველოს საპატრიარქო
- ფიზიკური პირი
- კერძო სამართლის იურიდიული პირი

საკუთრების ფორმების დაშვების წინაპირობა: ,,საქართველოს ტყეების განსახელმწიფოებრივების შესახებ“კანონის მიღება

ფაქტობრივი მდგომარეობა: ქვეყნის მთელი ტყის ფონდის მესაკუთრე (მფლობელი) არის სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობა

„სახელმწიფო ტყის ფონდის ინსტიტუციური მართვა“

- „სახელმწიფო ტყის ფონდის დაცულ ტერიტორიები“
- „სახელმწიფო სამეურნეო ტყის ფონდი“

- მუხლი 14. ა) სახელმწიფო ტყის ფონდის დაცულ ტერიტორიები მოიცავს სახელმწიფო ტყის ფონდის ფარგლებში არსებულ **და** ”დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად განსაზღვრულ ტერიტორიებს.

- წინააღმდეგობა ტყის კოდექსსა და დაცული ტერიტორიების შესახებ კანონმდებლობას შორის

ტყის ფონდის მართვა (რეალურად)

1. **სახელმწიფო ტყე**
   - დაცული ტერიტორიების შემდეგ იმ კატეგორიებში არსებული ტყე, რომელსაც მართავს სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო (ნაკრძალი- IUCN 1, ეროვნული პარკი - IUCN 2, ბუნების ძეგლი - IUCN 3, აღკვეთილი - IUCN 4).
   - სამეურნეო ტყე, რომელსაც მართავს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო
2. **ადგილობრივი ტყე**
   - ადგილობრივი თვითმმართველობების მართვის ქვეშ არსებულ დაცულ ტერიტორიებზე არსებული ტყე (დაცულ ლანდშაფტები IUCN 5 და მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიები IUCN 6)
   - ადგილობრივი თვითმმართველობების საკუთრებაში არსებული სამეურნეო ტყე და სატყეო მიწები (მაგ. ამბროლაური)
   - ადგილობრივი თვითმმართველობების საკუთრებაში არსებული ტყე, რომელიც ტყის ფონდის ნაცვლად მიკუთვნებული აქვს სარეკრეაციო სტატუსი (მაგ. თბილისი)

3. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტყე (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკაში არსებული დაცული ტერიტორიების ტყეების გარდა)

4. **რუსეთის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული ტყე**.

ტყის ფონდის მართვა



ტყეების პრივატიზება

- „სახელმწიფო ქონების შესახებ“ კანონი 21.07. 2010 წ. N 3512 – რს
- პრივატიზებას ექვემდებარება დასახლებათა ტერიტორიულ საზღვრებში არსებული ყოფილი საკოლმეურნეო და საბჭოთა მეურნეობის ტყეები.
- პრივატიზება უნდა განხორციელდეს საჯარო აუქციონის ფორმით.
- საჯარო აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვთ მხოლოდ ადგილობრივ მაცხოვრებებლებს
- 1 ჰა საწყისი საპრივატიზებო თანხაა 200 ლარი
- ტყის პრივატიზებიდან შემოსული თანხა ირიცხება შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში.
- მფლობელი ვალდებულია მხოლოდ დანიშნულებით გამოიყენოს ტყის მიწის ნაკვეთი, დაიცვას „წითელ ნუსხის“ სახეობები, არ შეუზღუდოს სხვა პირებს ტყის ნობათით (კენკროვან და სხვა მცენარეთა ნაყოფი), არამერქნული რესურსითა და საერთო წყალთსარგებლობის ობიექტებით სარგებლობის და ნადირობის შესაძლებლობა.

ტყეების პრივატიზება

- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2010 წლის 15 დეკემბერის №1-1/1980 ბრძანება „დასახლების ტერიტორიულ საზღვრებში არსებული ტყის პრივატიზების წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“
- არ არსებობს საზოგადოების ინფორმირებასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის ვალდებულება
- პრივატიზების განმახორციელებელ ორგანო არ არის ვალდებული გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართოს ტყის მართვაზე პასუხისმგებელი ორგანო, ან მიაწოდოს ინფორმაცია მისი მართული ტერიტორიის პრივატიზების შესახებ გადაწყვეტილების მიღების ან უკვე მომხდარი პრივატიზების შესახებ.

ტყეების პრივატიზება

- 2011 წლის 4 აგვისტოს საქართველოს მთავრობის №299 დადგენილება „სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების დადგენის შესახებ“
- არ შესრულდა კანონის მოთხოვნა, რომელიც ავალდებულებდა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს უზრუნველეყო სახელმწიფო ტყის ფონდის მიწებისა და ყოფილი საკოლმეურნეო და საბჭოთა მეურნეობის ტყეების მიწების იდენტიფიკაცია.
- მხოლოდ „ტყის ფონდის“ გარე პერიმეტრის იდენტიფიკაცია და რეგისტრაცია მოხდა, თუმცა მნიშვნელოვანი ხარვეზებით.



ტყის კოდექსი, მუხლი 14.

ა) სახელმწიფო ტყის ფონდის დაცულ ტერიტორიები მოიცავს სახელმწიფო ტყის ფონდის ფარგლებში არსებულ **და** ”დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად განსაზღვრულ ტერიტორიებს.

ამორიცხვა სოფლის მეურნეობის მიზნით

ჭიაური,
რეესტრის რუკა



ჭიაური, ორთოფოტო

კორესპონდენციაში მითითებულ პერიოდში ყოფილი საკოლმეურნეო და საბჭოთა მეურნეობის ტყის პრივატიზების მიზნით შემოსული განცხადებები სააგენტოში მოწაცემთა სისტემატიზირებული ბაზების არარსებობის გამო არ იძებნება.

აქვე გაცნობებთ, რომ სააგენტოს შექმნის დღიდან (2012 წელს სექტემბერი) დღემდე ყოფილი საკოლმეურნეო და საბჭოთა მეურნეობის ტყის საჯარო აუქციონის ფორმით პრივატიზება სააგენტოს მიერ არ განხორციელებულა.

ტყითსარგებლობის დაშვებული ფორმები

ა) ხე-ტყის დამზადება;

ბ) ნადირობა;

გ) მიჩენის მიზნით სარგებლობა;

დ) სპეციალური მიზნით სარგებლობა;

ე) ტყის მერქნიანი მცენარეების პროდუქტებისა და ხის მეორეხარისხოვანი მასალების დამზადება;

ვ) ტყის ფონდში მიწის ნაყოფიერი ფენის მოხსნა;

ზ) ტყის არამერქნული რესურსებით სარგებლობა;

თ) სატყეო პლანტაციური მეურნეობის წარმოება;

ი) სასოფლო-სამეურნეო მიზნით ტყითსარგებლობა;

კ) საკურორტო, რეკრეაციული, სპორტული და სხვა კულტურულ-გამაჯანსაღებელი მიზნით სარგებლობა;

ლ) თევზის მეურნეობის მოწყობა;

მ) ცხოველთა თავშესაფრებისა და სანაშენეების მოწყობა;

ნ) არასასოფლო-სამეურნეო მიზნით სარგებლობა;

ო) *კომპლექსური ტყითსარგებლობა*.

პ) კავშირგაბმულობის საკომუნიკაციო ნაგებობის განთავსება

ტყის ფონდის ფართობი არ გაცემულა

- სატყეო პლანტაციური მეურნეობის წარმოება;
- სასოფლო-სამეურნეო მიზნით ტყითსარგებლობა;
- საკურორტო, რეკრეაციული, სპორტული და სხვა კულტურულ-გამაჯანსაღებელი მიზნით სარგებლობა;
- თევზის მეურნეობის მოწყობა;
- ცხოველთა თავშესაფრებისა და სანაშენეების მოწყობა;
- არასასოფლო-სამეურნეო მიზნით სარგებლობა;
- კომპლექსური ტყითსარგებლობა.

სატყეო მიწებით სარგებლობის პრაქტიკა

ეკონომიკური/ინფრასტრუქტურული პროექტები პროექტები	სარგებლობის ფორმა
✓ ქალაქმშენებლობა ✓ წიაღის მოპოვება ✓ რკინიგზა ✓ საკურორტო ინფრასტრუქტურა ✓ ქარხნები, წიაღის გადამუშავება ✓ საავტომობილო მაგისტრალი ✓ საპარტიარქოსთვის გადაცემა ✓ კერძო საკუთრებაში რეგისტრირებული ფართობები ✓ სახელმწიფო ინტერესები (თავდაცვა, შსს) ✓ ელექტროგადამცემი ხაზები ✓ ჰესების მშენებლობა ✓ კავშირგაბმულობა	• ამორიცხვა **ჯამში - 4512.38784 ჰა** • სპეციალური სარგებლობა • მიჩენა • სპეციალური დანიშნულებით ტყის ჭრა

მიჩენილი სახელმწიფო ტყის ფონდის უბანი

- განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი აუცილებლობიდან გამომდინარე, დაცული ტერიტორიების სააგენტოსთან ან ეროვნულ სატყეო სააგენტოსთან ერთად, მართავს საქართველოს საპატრიარქო ან სახელმწიფო დაწესებულება.
- გამოყოფს და საქართველოს საპატრიარქოს ან დაინტერესებული სახელმწიფო დაწესებულების უფლებამოსილებას ადგენს საქართველოს მთავრობა
- საფუძველი - დაცული ტერიტორიების სააგენტოს ან ეროვნულ სატყეო სააგენტოს მოტივირებული წინადადება
- შეიძლება შეიზღუდოს ან მთლიანად აიკრძალოს ტყითსარგებლობა და მოქალაქეთა ტყეში ყოფნა, თუ ეს მიჩენილი უბნის გამოყოფის მიზანთან შეუთავსებელია.
- გამოყენება მხოლოდ მიჩენის მიზნისა და სახელმწიფო ტყის ფონდის აღდგენისა და მოვლის ღონისძიებების განსახორციელებლად.
- **მიჩენილი ფათობები - ჯამში: 1875 ჰა**

მიწის ნაყოფიერი ფენის (ნიადაგის) მოხსნა

- ეწინააღმდეგება საქართველოს კანონს „ნიადაგის დაცვის შესახებ “
- ტყითსარგებლობა - ტყის ფონდში მიწის ნაყოფიერი ფენის მოხსნა არ გაცემულა არც ერთი ტყის რესურსით სარგებლობის ბილეთი
- რულონური გაზონის წარმოება - მიმდინარეობს კანონისდარღვევით

დიდი მადლობა ყურადღებისათვის